შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№28 (9.790)
22 – 29 ივლისი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

სარწყავი სისტემა — სოფლის გადასარჩენად

გ3.3

გ3.8

ლადოს ვარსკვლავი



გ3.4

ზოლიანი საწამლავი

„ერთი დღე სოფელში“ ექიმებთან ერთად

გ3.6

გ3.5

ფერმაში მკვდარი ახალშობილი იპოვეს

ელიას ტაძრის რეაბილიტაცია დაიწყო

გ3.2

უფასო სკრინინგი

ყურადღება! გაცნობებთ, რომ:
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში 2017 წლის 25ივლისს ტარდება მოსახლეობის უფასო გამოკვლევები **C** ჰეპატიტზე. **C** ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა ხდება მარტივი ტესტირებით და არაუგვიანეს 15 წუთში ცნობილია კვლევის შედეგი.

C ჰეპატიტის სკრინინგი ჩატარდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში.

მის: **ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ №20** (ყოფილი პროკურატურის შენობა)

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი.

ICოდე შეCვალე დაICავი

C M Y K

ჩვენი სკოლა თანდათან კონკურენტუნარიანი ხდება

დედოფლისწყაროს რესურსცენტრის უფროსთან ეთერ დავითაშვილთან ერთ-ერთი შეხვედრისას საუბარი შეეხო სკოლების წარმატებულ დირექტორებს, რომელთა შორის სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორი ნანა ჭილიტაშვილიც დასახელდა. ქალბატონი ნანა განათლების სფეროს დიდი ხნის თანამშრომელია, აქვს მდიდარი გამოცდილება როგორც სპეციალისტს(ის ქიმიკოსი გახლავთ) და როგორც დირექტორს. სულ მუდამ ენერგიული, შემართებული, საქმიანი და ახალ-ახალი იდეებით გამოირჩეოდა. ამიტომაც მისი წარმატებული საქმიანობა ლოგიკურიცაა. და აი, ჩვენ სამრეკლოს საჯარო სკოლაში ვიმყოფებით. დიდი ხანია, ამ სკოლაში აღარ ვყოფილვარ

და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, იმდენი თვალშისაცემი ინფრასტრუქტურული სიახლე დამხვდა, მახსოვს ათეულწლობით ჩანგრეული ფოიე, რომელიც ახლა ფილებით ისეა მოპირკეთებული, შესვლისთანავე სიმშვიდე დაგეუფლებათ. შენობის შუაგულში მოქცეული შიდა ეზო, ჭერიდან ჩამონადენი ბუნებრივი ნალექით სულ მუდამ საფრთხეს უქმნიდა საძირკველს. ახლა აქ კაპიტალური სარინელია მონყობილი, რომლის მეშვეობითაც წყალი იკრიბება და სკოლის გარეთ მიმდებარე ტერიტორიაზე – ხევში მიედინება. ამან შენობის მდგრადობას ძალიან შეუწყო ხელი. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, კარ-ფანჯარა სულ შეცვლილია მეტალო-პლასტმასით, იატაკები და ჭერი ნორმალურ მდგომარეობაშია, აქვთ მდიდარი ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები. ასე რომ, აქ არსებობს საიმისო პირობები, რომ წარმატებულად იშრომონ და შედეგებიც დადონ.

-ქალბატონო ნანა, როგორ პირობებში გიწევთ მუშაობა და როგორი შედეგებით დაამთავრეთ ეს სასწავლო წელი?

-ჩემს ამ სკოლაში დირექტორად დანიშვნას გარკვეული წინააღმდეგობები შეხვდა: - კოლექტივი ორად იყო გახლეჩილი, მაგრამ ყველაფერი ძალიან მალე დალაგდა. სიმართლე გითხრათ, არც მეგონა, თუ სოფელში ასეთი კვალიფიციური პედაგოგიური გუნდა და სწავლაზე ორიენტირებული მოსწავლეები და მშობლები იქნებოდნენ. მათი ერთადერთი მიზანი და ამოცანაა, მყარი ცოდნის მიღება. გადაუჭარბებლად შეიძლია ვთქვა, რომ ჩვენი სკოლა ზრდის ისეთ ახალგაზრდას, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის პირობებში სათანადო ადგილს მონახავს საზოგადოებაში. დღეისთვის სკოლას მხოლოდ 8 უფროსი, ანუ სერთიფიცირებული მასწავლებელი ჰყავს, რაც ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. მათი რიცხვი აუცილებლად გაიზრდება, ხოლო რაც შეეხება ნლევანდელ შედეგებს, 21 მეთორმეტეკლასელიდან 17-მა გადალახა ბარიერი. 4 მოსწავლე ჩაიჭრა და იმ თერთმეტიათას ბავშვს შორის აღმოჩნდა, რომელიც საჯარო სკოლებს შავ ლაქად ატყვია. თუმცა, მინდა განვმარტო, რომ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ოთხმა ბიჭმა ვერ დაძლია ბარიერი ერთ საგანში – ეს არის ფიზიკა. სამწუხაროდ ეს ის ბავშვები არიან რომელთა ოჯახებიც სოციალურად დაუცველები არიან და მათ ოჯახის სარჩენად ხშირად უწევთ გაკვეთილების გაცდენა, რათა დღიური სამუშაოთი დაკავდნენ და ოჯახს ეკონომიურად შეეხიდონ. ფიზიკა კი, მოგეხსენებათ, როგორც ყველაზე რთული ტექნიკური საგანი, ზედნაშენია და თუ თანმიმდევრულად არ სწავლობ, კონტექსტიდან ამოგლეჯილად მისი სწავლა, თითქმის, შეუძლებელია. სწორედ ამ გაცდენებმა და მათმა სოციალურმა ფონმა განაპირობა ეს მარცხი. 17 კურსდამთავრებულიდან სამი ოქროსმედალოსანია: დავით ბოსტოღანაშვილი, თამარ ალადაშვილი და გოდერძი სიმონიძე. საერთოდ, სკოლაში ამჟამად 201 ბავშვი ირიცხება. შეინიშნება მოსწავლეთა შემოდინება,ზოგი წასული ბავშვი ბრუნდება, ზოგიც ახალი გვემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლა, თანადათან, კონკურენტუნარიანი ხდება, რაც ჩვენ მეტ პასუხისმგებლობას გვავალებს.

– იქნებ გვითხრათ, რა წარმატებული პროექტები განხორციელდა ამ სასწავლო წელს?

- მუდმივად ვგრძნობ განათლების და მეცნიერების სამინისტროს და ჩვენი რესურსცენტრის უფროსის ეთერ დავითაშვილის მხარში დგომას. 2016 წლის თებერვლიდან დაიწყო სარემონტო სამუშაოები ინფრასტრუქტურის სააგენტოდან ჩარიცხული თანხით, რითაც დამონტაჟდა ცენტრალური გთბობა, რეაბილიტირდა შესასვლელი ფოიე და გაკეთდა შიდა ეზოში ბუნებრივი ნალექებისთვის სარინელი. სკოლა ჩართულია სამოქალაქო განათლების პროექტში „მომავლის თაობა“. ამ პროგრამის ფარგლებში სკოლამ მოიგო მცირე გრანტი „წიგნიერი თაობა“ 450 დოლარის ოდენობით, რითაც შევიძინეთ ძალიან საინტერესო და სკოლისთვის საჭირო წიგნები და კარადა. გაკეთდა ამ გრანტის სპეციალური კუთხე, რომელიც უაღრესად საინტერესოა, როგორც თემატურად, ისე ვიზუალურად. ეს გრანტი მეათეკლასელ მოსწავლეებთან ერთად მოიგო სამოქალაქო განათლების პედაგოგმა რუსუდან ნატროშვილმა, რომელიც შერჩეულია კახეთის რეგიონის წარმატებულ პედაგოგთა შორის. ის მონაწილეობდა საზაფხულო ბანაკ „ბაკურიანი- 2017“ -ის მუშაობაში, სადაც ბევრი სიახლის შესახებ მიიღო ინფორმაცია, რასაც პრაქტიკულად გამოიყენებს მომავალში.

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის ფინალში მიიღო მონაწილეობა მეთორმეტეკლასელმა დავით ბოსტოღანაშვილმა, რომელიც დაჯილდოვდა ბიბლიუსის მაღაზიების ქსელის ვაუჩერით და სხვა ფასიანი საჩუქრებით.

მეათეკლასელი ანა ჩითილაშვილი წარმატებით გადავიდა ფლექსის ოლიმპიადის ფინალში, რომელიც ჩატარდება მომავალი სასწავლო წლის სექტემბერში და რომელიც ითვალისწინებს გაცვლით პროგრამას ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 წლის სწავლის ვადით.

მოსწავლეთა რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციაზე კვლავ მეათეკლასელმა თამარ ჯეთერიშვილმა თემისთვის „ვაშლოვანი დედოფლისწყაროს სავიზიტო ბარათია“ დაიმსახურა საპატიო სიგელი. მისი ნამუშევარი ას საუკეთესო ნამუშევარს შორის შეირჩა. თემის ხელმძღვანელი იყო გეოგრაფიის პედაგოგი ელენე ზედელაშვილი. მადლობა მას.

არასამთავრობო ორგანიზაციის „დემოკრატიის ლაბორატორია“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში „მე და კონსტიტუცია“ მეცხრეკლასელი მოსწავლეების მიერ მომზადებულმა ვიდეორგოლმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

სკოლამ პედაგოგ თამარ ყოჩიაშვილის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო „თავისუფალი გაკვეთილების“ საგრანტო კონკურსში„მე და ხელოვნება“ და მოიგო 600 ლარი. გრანტის მიზანი იყო თექის ხელოვნების გაცნობა, მეორადი ნივთებისთვის ახალი სიცოცხლის დაბრუნება,ხელნაკეთი ბლოკნოტებისა და წიგნების გაკეთება. პროექტმა ბავშვების დიდი დაინტერესება გამოიწვია, რადგან სოფლის პირობებში ეს ცოტა იშვიათი სიამოვნებაა. ამასთან, თვითონ პედაგოგი თამარ ყოჩიაშვილი არის უაღრესად დიდი ფანტაზიის და შემოქმედებითი ნიჭის მქონე, დაუზარელი და ენთუზიაზმით სავსე პიროვნება, რამაც დიდი მოტივაცია მისცა ბავშვებს და ისინი აქტიურად ჩაერთვნენ ამ საქმიანობაში.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა სამმა მეთორმეტეკლასელმა თინათინ აჩელაშვილმა, სალომე სიმონიძემ და ნათია იაკობიშვილმა წარმატებით დაძლია საბაზო საფეხური პროგრამით „ჩემი პირველი კომპიუტერი“ და საჩუქრად მიიღო კომპიუტერები.

მედიაპროექტ „ეტალონში“ ჩვენი მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ზაქარია მექუდიშვილი გახდა “რაიონის ეტალონის“ ტიტულის მფლობელი და 24 ივნისს მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ „ეტალონის“ ფინალურ კონკურსში, სადაც, მართალია, სულ რამოდენიმე წამით ჩამორჩა მეტოქეს და გამარჯვება ვერ მოიპოვა, მაგრამ შესანიშნავად იასპარეზა. ამ კონკურსში მონაწილეობისთვის თანაკლასელებთან, მშობლებთან, კლასის დამრიგებელთან და სკოლის დირექტორთან ერთად ბათუმში გამგზავრება უზრუნველყო მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ყველა მათგანს. ფაქტიურად, ეს იყო გამგეობის საჩუქარი ზაქარია მექუდიშვილისთვის, რომელმაც ცოდნის მაღალი დონე აჩვენა „ეტალონში“.

ამ დღეებში თქვენ თავად შეხვდით ჩვენს ერთ-ერთ წარმატებულ მოსწავლეს, 12 წლის ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილს და გაეცანით მის მიღწევებს. ნიკოლოზი ნამდვილად არის გამორჩეული ნიჭის, ენერგიის და მონდომების ბავშვი, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ.

– გამარჯვებული და შესასრულებელი პროექტები თუ გაქვთ?

–აუცილებლად უნდა შევჩერდეთ 2.500 დოლარიან გრანტზე, რომელიც მშვიდობის კორპუსის მოხალისემ, ამერიკელმა ქელი ბრაშეიკომ მოიგო.გრანტი სკოლაში უცხო ენის კაბინეტის მოწყობისთვის არის განკუთვნილი. ქელი,თითქმის ერთი წელია, ჩვენს სოფელში ცხოვრობს, სკოლაში კონსულტანტის მოვალეობას ასრულებს ინგლისური ენის სწავლების საკითხებში. ის ძალიან კარგად შეეწყო სოფელსაც და სკოლასაც. თვითონაც კმაყოფილია და ჩვენც. რაც შეეხება კაბინეტის მოწყობის სამუშაოებს,ივლის-აგვისტოს თვეებში ჩატარდება და ახალი სასწავლო წლისთვის მზად იქნება.

ტენდერი გვაქვს გამოცხადებული 41.700 ლარზე, რომელიც მოხმარდება ეზოში ახალი, თანამედროვე სტანდარტების ტუალეტების მოწყობას. აგრეთვე, ღია, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის გაკეთებას, რადგან, მოგეხსენებათ,სკოლა ხევის პირასაა აშენებული, მასზე შემდგომში სპორტული დარბაზისთვის მიშენებული ფლიგელი არამდგრადია მცოცავი ქანების გამო და მისი რეაბილიტაცია არ ხერხდება. ამავე თანხით შეიცვლება სკოლის წინა აფრა, სკოლის გარშემო, ისე, როგორც შიდა ეზოშია, მოეწყობა სარინელი ბუნებრივი ნალექებისაგან შენობის საძირკვლის დასაცავად. რეაბილიტაცია ჩაუტარდება შესასვლელ კიბეებს, სადაც ადაფტირებული ფიზიკური გარემოს შექმნის მიზნით, დამონტაჟდება ამწე მექანიზმი,ანუ ლიფტი.

ახლა დიდი ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ სწავლებას. რა მდგომარეობაა თქვენთან?

–მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ ჩვენთან შეფასებულია სპეციალური საჭიროების მქონე სამი მოსწავლე. მათთან მუშაობს სპეცპედაგოგი ლალი ნატროშვილი. ამ სამი მოსწავლისათვის ყველა საგნის მასწავლებელს, ლალი მასწავლებელთან ერთად, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ ძალიან კარგად მოწყობილი და სპეცთვალსაჩინოებით აღჭურვილი რესურსოთახი, ისინი სრულად არიან ადაფტირებულნი მთელ სკოლასთან და სასწავლო პროცესთან, რასაც სათანადო შედეგები ნამდვილად მოსდევს. ძალიან კარგი შედეგი ჰქონდა სოფელ ხორნაბუჯის სპეცპედაგოგის ჟანა ბაბაიანის ინიციატივით მოწყობილ ერთობლივ ექსკურსიას, რომელმაც ბავშვები უფრო მეტად გახსნა და გაახალისა. ამისათვის მადლობა ქალბატონ ჟანას და რაიონის ხელმძღვანელობას, რომელმაც ეს სიხარული აჩუქა ამ ბავშვებს.

–მომავალ სასწავლო წლამდე სულ რაღაც ორიოდე თვეა დარჩენილი. თქვენ წინ დიდი სამუშაოები გაქვთ შესასრულებელი, წარმატებებს გისურვებთ.

–გმადლობთ, ვეცდებით, ვადებში ჩავეტიოთ და, საერთოდაც, სრულად დავიხარჯოთ იმისთვის, რომ ამ ახალ გარემოში, ინტერნეტ შემოტევების ფონზე, გავზარდოთ წიგნიერი, მცოდნე და პერსპექტიული ახალგაზრდები. ჩენი მიმართულება, ისე როგორც მთლიანად განათლების სისტემისა, მიმართულია იქით, რომ ბავშვებს, რომლებსაც არ აქვთ სწავლის პირობები ან შესაბამისი უნარები, ვურჩიოთ მიიღონ სპეციალური განათლება კოლეჯებში, რაც უფრო მეტად გამოსაყენებელი და შრომითი დასაქმებისთვის მორგებული იქნება მათთვის. ეს იქნება ერთი გზა, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი სირცხვილი, რომელიც ამ დღეებში ინტერნეტით გავრცელებულმა ეროვნული გამოცდების ქართულ ლიტერატურაში გამომჟღავნებულმა სრულმა უცოდინრობამ განმაცდევინა, როცა ვიგებთ, რომ საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა დაწერა: „რუსთაველი იყო თამარ მეფის ჭურჭლის განმკარგულებელი, ცხოვრობდა რუსთავში და ქალაქს განაგებდაო,“ ან „თერგდალეულები“ იყვნენ ისინი, ვინც თერგის წყალი შემთხვევით გადაყლაპაო“ და სხვა მრავალი, გულდასაწყვეტი ფრაზა, რომელიც სატირალია, სასაცილო რომ არ იყოს. საჯარო სკოლებმა, განათლების სამინისტროსთან და ხელისუფლებასთან ერთად, უნდა იზრუნონ განათლების უფრო მაღალი ხარისხისთვის.

ესაუბრა
ნაირა გორაშვილი.

ელიას ტაძრის რეაბილიტაცია დაიწყო



19 ივლისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადგილზე მოინახულა წინასწარმეტყველ ელია თეზბიტელის ტაძრის გაწმენდითი სამუშაოები. გაცნობებთ, რომ ხდება ტაძრის ლოდებისა და ქვებისგან გაწმენდა. გაწმენდითი სამუშაოები ამ დროისთვის აქტიურად მიმდინარეობს და ელიაობის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის ყველა მომლოცველს შეეძლება ტაძართან უსაფრთხოდ მისვლა. შეგახსენებთ, გასული წლის ზამთარში ლოდის ჩამოვარდნის გამო ტაძარი დაზიანდა რის გამოც მასთან მიახლოვება აკრძალული იყო. პროცესს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს სპეციალისტები აკვირდებიან.

სარწყავი სისტემა – სოფლის გადასარჩენად

დედოფლისწყაროს ალაზნისპირა სოფლებში, სამთაწყაროსა და ფიროსმანში მცხოვრები მოსახლეობა, ძირითადად, მევენახეობას მისდევს. მიწა ქვაღორღიანია, ამდენად, აქ ვაზის გარდა სხვა კულტურები ნაკლებად ხარობს. ბოლო წლებში ადგილობრივებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს, თუ როგორ ზარალდებიან ისინი სარწყავი სისტემის არარსებობით. იქვე ჩამოდის მდინარე ალაზანი, რომელიც ამ მონაკვეთში ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო ზოლს ქმნის. თუმცა, სარწყავი სისტემების მოშლის შემდეგ, მრავალი წელია, ადგილობრივები ვენახების მორწყვას ვეღარ ახერხებენ. ცხელ ზაფხულში მოურწყველობა კი მოსავლის სიმცირეზეც აისახება. გასულ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მობილური სარწყავი სატუმბი სადგურების პროექტის გამოცდა დედოფლისწყაროდან დაიწყო. შარშან მდინარე ალაზნიდან მოძრავი სატუმბი სადგურის მეშვეობით ამ სოფლებში ვენახების ნაწილი მორწყეს, შედეგად ვენახების ნაწილში მოსავლიანობა გაუმჯობესდა, რის გამოც ხელისუფლებამ სარწყავი სისტემის განვითარების პირობა დადო. გარდა მობილური სატუმბი სადგურების დამატებისა, ითქვა ისიც, რომ დედოფლისწყაროში მძლავრი სარწყავი სისტემის მონტაჟიც დაიწყებოდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის დეპარტამენტი, უკვე მეორე წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანში, მდინარე ალაზანზე თანამედროვე სტანდარტებით საუკეთესოდ აღჭურვილ სარწყავი სისტემის წყალსაქაჩ სადგურს აშენებს. მასზე რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯება. მდინარე ალაზნის პირას საუკეთესოდ შერჩეულ ადგილზე უკვე დასრულებულია რამდენიმესართულიანი ნაგებობის მშენებლობა, სადაც სულ მალე სპეციალური ტუმბოები განთავსდება. უკვე დამონტაჟებულია მართვის პულტი, საიდანაც ოპერატორები წყლის მიწოდების მართვას და გრაფიკის დარეგულირებას შეძლებენ. უკვე დასრულებულია სადგურის ელექტროფიცირება, რისთვისაც ახალი ელექტროგადამცემი ხაზის და ქვესადგურის სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდა. მანამდე ამ ტერიტორიაზე დენი არ იყო. ასევე მოწყობილია დიდი მოცულობის მილი, რომელიც სოფლის სარწყავ არხამდე წყლის მიყვანას უზრუნველყოფს. სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი ***(დედოფლისწყაროს გამგებელი):*** „ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია მთლიანად მუნიციპალიტეტისთვის, განსაკუთრებით კი ამ სოფლებისთვის. საქართველოს მთავრობის ინიციატივით მოხდა ამ იდეის ხორცშესხმა, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის დეპარტამენტი აშენებს. საუკეთესო პირობებია აქ საიმისოდ, რომ სისტემამ გამართულად იმუშაოს. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოეწყო ყველა დეტალი, სამუშაოები მალე დასრულდება. პროცესი ცოტა გაჭიანურდა, რადგან კომპანიას, რომელიც სამუშაოებს აწარმოებდა, ვადების დარღვევის გამო დისკვალიფიკაცია მიეცა, საქმეს ჩამოშორდა და ახალი კომპანიის ძიება დაიწყო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულდა და იმედი გვაქვს, უმოკლეს დროში დასრულდება. ეს ძალიან დიდი საქმეა, რადგან სოფელ ფიროსმანისა და სამთაწყაროს მიწის ფართობების მორწყვას სრულად შევძლებთ. ამ სოფლებში ძველი სარწყავი სისტემები სრულიად გაძარცვულია. 2007-08 წლებში გაიძარცვა და სოფლები სარწყავი სისტემის გარეშე დარჩა. მას შემდეგ ძალიან გართულდა ადგილობრივების ყოფა-ცხოვრება. ალაზნისპირა სოფლებში ყოველთვის მაღალი ტემპერატურა იცის, ამან კი კატასტროფამდე მიიყვანა სოფლის მეურნეობა და წელში გაწყვიტა ადგილობრივი გლეხი. ბოლო წლებში იმდენად ცოტა ყურძენს კრეფდნენ ადგილობრივები, რომ შეიძლება ითქვას, მევენახეობა აქ გადაშენების პირასაა. თუ ოფიციალურ მონაცემებს ჩავხედავთ, ამაში უფრო ნათლად დავრწმუნდებით, სოფელ ფიროსმანში 340 ჰა ვენახია, მაგრამ ხშირად 300 ტონა ყურძენსაც ვერ კრეფდნენ, რაც კატასტროფულად დაბალი მაჩვენებელია. მე მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ დამსახურებაა ის, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა სარწყავი სისტემების განვითარებას დიდი ყურადღება დაუთმოს და ეს მხოლოდ იდეის დონეზე არ დარჩა. ვხედავთ, რომ ხორცი შეესხა და რეალობაა. მოსახლეობის რეაქციაც საპასუხო აღმოჩნდა, სადგურის მშენებლობამ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია და საოცარი მოლოდინი გააჩინა. გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ ვიდრე ამ მასშტაბურ პროექტს დავიწყებდით, გასულ წელს პილოტ-პროექტი განხორციელდა და იტალიაში შევიძინეთ მოძრავი ტუმბოები, რომლითაც ვენახების ერთი ნაწილი მოვრწყეთ. ამ ტექნიკას წელსაც ვიყენებთ და ვიდრე მასშტაბური სატუმბი სადგური ამოქმედდება, მანამდე მოძრავ სადგურებს გამოვიყენებთ. ვახერხებთ მოვრწყათ ის ვენახები, რომლებიც მდინარესთან ახლოს არის“.

სოფელ ფიროსმანში გამგებლის წარმომადგენელი ვალიკო აბაშიძე გაზეთ „შირაქთან“ ახალი პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს და ამბობს, რომ სარწყავი სისტემის აღდგენა სოფლის განვითარებისთვის ახალი ეტაპის საფუძველი გახდება. სოფლის რწმუნებული სოფლის ეკონომიკის განადგურებას სარწყავი სისტემის მოშლას უკავშირებს და ამბობს, რომ პერსპექტივის გაჩენისთანავე ადგილობრივები ვაზის გარდა სხვა კულტურების გაშენებაზეც დაფიქრდნენ.

„13–14 წელია, ვენახებს ვეღარ ვრწყავთ, მას შემდეგ, რაც სატუმბი სადგური გაპარტახდა და სარწყავი სისტემები ჯართში ჩააბარეს, ასე ვართ. ცხადია, ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად უკან დასწია მთლიანად სოფლის ეკონომიკა. თითქმის ნულამდე დავიდა ჩვენი სოფლისთვის მევენახეობიდან შემოსავალი. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დადებითი ძვრები წამოვიდა. 1 800 ჰექტარი აქვს ჩვენს სოფელს და მხოლოდ ახლა გაჩნდა პერსპექტივა, რომ სრულად შევძლებთ ჩვენი ფართის მორწყვას. ეს კი იმხელა შეღავათია ჩვენი სოფლისთვის, რომ ბევრი ვერც იოცნებებდა. ახლა უკვე რეალობაა, რომ მინდვრების და სხვა მრავალწლიანი ნარგავების მორწყვასაც შევძლებთ. ჩვენი სოფლისთვის მევენახეობა ერთ-ერთ მთავარ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ნოყიერი ნიადაგები გვაქვს, მაგრამ გვალვიან ზონაში ვცხოვრობთ და ხშირად გვიფუჭდება მოსავალი, ამიტომ ფიროსმანელების ძირითადი პრობლემა ეს არის. პროექტი, რომელსაც საქართველოს მელიორაცია ჩვენს სოფელში ახორციელებს საშვილიშვილო საქმეა და ჩვენი ხსნა ამაშია. იმედით შევყურებთ მის ამოქმედებას. მორწყვა თუ შევძელით, დამერწმუნეთ, სოფლის ეკონომიკა 180 გრადუსით სასიკეთოდ შემობრუნდება და თითოეული ოჯახი წელში გაიმართება. მიტოვებული ოჯახებიც დაუბრუნდებიან სოფელს, რადგან, ძირითადად, მიგრაცია წყლის პრობლემის გამო დაიწყო. როცა მორწყვის საშუალება იქნება, შემდეგ სხვა ნარგავების გაშენებაზეც ვიფიქრებთ და სოფელი გამოცოცხლდება. შედეგად ვენახების ფართობიც გაიზრდება, ხუშისა და კაკლის ბაღების გაშენებასაც ვფიქრობთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროექტი სოფლის მომავალს დიდწილად განსაზღვრავს,“ – აცხადებს რწმუნებული.

ილია მარტყოფლიშვილი

შეხვედრა სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

18 ივლისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წნორის ფილიალის წარმომადგენლებთან გაიმართა გაცნობითი ხასიათის სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გამგებლის წარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. აღნიშნულ შეხვედრაზე თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმ პროგრამებზე, რომლებსაც სიღნაღის სასწავლო კორპუსი სთავაზობს მოსწავლეებსა და სტუდენტებს. ასევე, გაცნობებთ, რომ სიღნაღის სასწავლო კორპუსში ყველა მსურველი მე-11 და მე-12 კლასელი მოსწავლეებისთვის დაიწყება უფასო მომზადების პროგრამა სხვადასხვა საგანში. აღსანიშნავია, რომ სიღნაღის კორპუსის სტუდენტებს, სურვილისამებრ, შეუძლიათ სწავლის ნებისმიერ ეტაპზე შიდა მობილობით თბილისის ფილიალში გადასვლა.

შირაქში მობილური სახანძრო პუნქტი გაიხსნა

ალოობასთან დაკავშირებით, საქართველოს ბეღელად წოდებულ შირაქში, დამატებით გაიხსნა მეხანძრეთა პუნქტი, სადაც მუდმივად მორიგეობს ოთხი სახანძრო მანქანა თავისი ეკიპაჟებით. გარდა ამისა, ტრადიციულად, სოფელ არხილოსკალოსა და დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურში მობილიზებულნი არიან სახანძრო მანქანები. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მინდორში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მოხდეს დროული რეაგირება. დედოფლისწყაროელ მეხანძრეებს დახმარებას უწევენ ლაგოდეხისა და გურჯაანის ბრიგადები. 13 ივლისს, შირაქში მყოფი მეხანძრეები გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოინახულა, დაინტერესდა მათი პირობებით და მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ბრიგადა განთავსდა ალოობის დაწყებისთანავე. ისინი ადგილზე იქნებიან ალოობის დამთავრებამდე და ხვნა-თესვის დაწყებამდე.

ზოლიანი საწამლავი

ქართულ ბაზარზე ნიტრატებით გაჯერებული ხილ-ბოსტნეული იყიდება



მომხმარებელთა უფლებადამცველი ერთ-ერთი ორგანიზაციის კვლევით დადასტურდა, რომ პროდუქტში ნიტრატების დონე საშიშ ზღვარზეა. როგორც აღმოჩნდა, ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქტების თითქმის ნახევარი ნიტრატების საშიშ რაოდენობას შეიცავს, საზამთრო და ვაშლატამა ქიმიკატებით არის გაჯერებული. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია საზამთრო, რომელშიც ნიტრატების შემცველობა დასაშვებ ნორმას სამჯერ აღემატება. დაახლოებით ამდენივეა შხამქიმიკატის რაოდენობა ვაშლატამაში. რაც შეეხება ბოსტნეულს, ამ მხრივ საფრთხე განსაკუთრებით პომიდორს უკავშირდება, ხოლო კარტოფილსა და ხახვში ნიტრატების შემცველობა ნორმის ფარგლებშია.

ასეთია კვლევის შედეგი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "ეტიკმა" განახორციელა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამირან შენგელია ამბობს, რომ ხილ-ბოსტნეულის ხარისხის კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან გასაძლიერებელია.

"იმპორტული და ადგილობრივი ხილ-ბოსტნეული ნიტრატებით არის გაჯერებული, განსაკუთრებით საზამთრო და ვაშლატამა, რომლებიც მასობრივად სხვადასხვა სახის ნიტრატს საშიში დოზით შეიცავს. როდესაც ჩავატარეთ კვლევა და ხილ-ბოსტნეულში ნიტრატების დონე გავარკვიეთ (დასაშვებზე 3-ჯერ მეტი), სასწრაფოდ მივმართეთ საავადმყოფოებს, რათა გაგვერკვია, არის თუ არა მოწამვლის ფაქტები. სიმართლე გითხრათ, გავოგნდით, როცა შევიტყვეთ, რომ მიმდინარე პერიოდში მსგავსი შემთხვევები ნაკლებადაა. ჩემი აზრით, ადამიანები თვითნებურად მკურნალობენ. სანამ ძალიან ცუდად არ გახდება, ექიმთან არავინ მიდის.

სამომხმარებლო ბაზრებზე რეალობა ძალიან მძიმეა. როგორც წესი, ნიტრატებიანი პროდუქტი ძალიან მალე ლპება და მოვაჭრეებიც ხილის სწრაფად ამოყიდვასა და თავიდან მოშორებას ცდილობენ. თუკი ბუნებრივად პროდუქტის დამწიფებას 1 კვირა სჭირდება, სპეციალური ქიმიკატების საშუალებით 2 დღეში ამწიფებენ. ჩვენ მიერ გამოკვლეული ხილ-ბოსტნეულიდან ნიტრატების გადაჭარბებული დოზა აღმოჩნდა საზამთროში, ვაშლატამაში, ატამსა და პომიდორში. ხახვი და კარტოფილი ამ თვალსაზრისით შედარებით უსაფრთხოა. ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქტების თითქმის ნახევარი ნიტრატების საშიშ რაოდენობას შეიცავს, საზამთრო და ვაშლატამა ქიმიკატებით არის გაჯერებული. წინა კვირას ქუთაისსა და გარდაბნის რაიონში შევამოწმეთ პროდუქტი. აბსოლუტურად ყველგან ერთი და იგივე სიტუაციაა", - აცხადებს შენგელია და რეალიზაციის წესებთან დაკავშირებულ დარღვევებზეც საუბრობს.

"კატეგორიულად არ შეიძლება, ხილ-ბოსტნეული მანქანის სავალ ნაწილზე იყიდებოდეს. მომსწრე ვართ, რომ საზამთროსა და ნესვს პირდაპირ გზის ნაწილზე ყიდიან. რეალიზაციასაც თავისი წესები აქვს. ყველა უყურებს, როგორ გამოიყურება ხილი ვიზუალურად და შემცველობაზე ნაკლებად ფიქრობენ. ამასობაში კი ადამიანები იწამლებიან. შეიძლება ადამიანი საკვების მიღების დროს არ მოიწამლოს, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში საფრთხე განსაკუთრებით დიდია. ნიტრატების შემცველობა ჯანმრთელობაზე ძალიან ცუდ გავლენას ახდენს. ამიტომ ბაზრის ტერიტორიებზე უკლებლივ ყველა პროდუქტი უნდა მოწმდებოდეს", - ამბობს შენგელია.

საზამთროში ნიტრატების შემცველობა დასაშვებს სამჯერ აღემატება

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ნიტრატების მაღალი შემცველობა აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას - შლის იმუნურ სისტემას, რის შედაგადაც ორგანიზმში მთელი რიგი დაავადებები ვითარდება.

ნიტრატებით გაჯერებული პროდუქტის მავნებლობაზე საუბრობს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლია კვარაცხელია.

"საფთრხე ძალიან დიდია, ამიტომ მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად არის ეს პრობლემა მარეგულირებელი ორგანოების მიერ შესწავლილი. რამდენადაც ვიცი, ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის შესწავლა არ ხდება. ამასობაში კი ნიტრატების მაღალი შემცველობის გამო ორგანიზმში მთელი რიგი დაავადებები ვითარდება. აღსანიშნავია, რომ ხშირად მათ სოციალურ დაავადებად მოიხსენიებენ. ჯანდაცვის სამინისტრო ამ საკითხს ძალიან ფრთხილად უნდა მიუდგეს. პრობლემა მარტო ნიტრატების მაღალი შემცველობა არ არის. დაბინძურებულია ჰაერი და არა ერთხელ დადასტურდა, რომ ჰაერში დიდია ტყვიის შემცველობა მანქანების გამონაბოლქვის შედეგად.

ამიტომაა, რომ ხეხილის ბაღების გაშენება რეკომენდებულია მანქანის სავალი ნაწილიდან 300 მეტრის რადიუსით. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რაშია საქმე, რა პროდუქტებს მივირთმევთ და დასაშვებ ნორმას მათი დაბინძურება რამდენით აღემატება. სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემების მიმართ ზერელე დამოკიდებულებაა. ამასობაში პროვოცირება ხდება ისეთი დაავადებებისა, როგორიცაა ალერგია, იმუნური სისტემის მოშლა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მათ სოციალურად საშიშ დაავადებებს უწოდებს, რადგან საკვებიდან, ჰაერიდან, არასრულფასოვანი გარემო პირობებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფოს, კერძოდ, ჯანდაცვის სისტემას ამ კუთხით ბევრი აქვს გასაკეთებელი", - აცხადებს ლია კვარაცხელია.

რამდენად უვნებელია თქვენი საკვები?

ბევრ ქვეყანაში სურსათის უვნებლობა სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი გახდა. განმარტების თანახმად, „სურსათის უვნებლობა გულისხმობს იმ პირობებსა და პრაქტიკებს, რაც ინარჩუნებს სურსათის ხარისხს და თავიდან გვარიდებს დაბინძურებას ან სურსათით გამოწვეულ დაავადებებს", სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სურსათის უვნებლობის მიზანია, დაიცვას ადამიანების, ცხოველების, მცენარეების ჯანმრთელობა სურსათის წარმოების ყველა ეტაპზე ევროკავშირის მიერ დადგენილი „ფერმიდან-სუფრაზე" პრინციპის შესაბამისად.

სურსათის უვნებლობა საქართველოში

2014 წლის 27 ივნისს, საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას და მის განუყოფელ ნაწილს — შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „საქართველოს სურსათის უვნებლობის დაახლოების გეგმა" და დანერგა სურსათის უვნებლობის პირველი სტრატეგია, რომლის მიზანია, საქართველოში შემოიღოს სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტები.

ამ სტრატეგიის მიზნებისთვის, საქართველოს მთავრობამ დიდი ძალისხმევა განია, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანა სურსათის უვნებლობის რეგულაციებში. ევროკავშირის სურსათის უვნებლობის პოლიტიკის შესაბამისად, ქვეყანამ მიიღო სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი:

„ამ კოდექსის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება."

2011 წელს, სურსათის უვნებლობის ეფექტური კონტროლის შექმნის მიზნით, საქართველოს მთავრობამ ჩამოაყალიბა სურსათის ეროვნული სააგენტო. სააგენტო ატარებს ინსპექციებს (ოფიციალურ კონტროლს), რათა შეამოწმოს სურსათისა და ცხოველთა საკვების მდგომარეობის შესაბამისობა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სტანდარტებთან.

სურსათის ეროვნული სააგენტო შემდეგ მექანიზმებს იყენებს: შემოწმება, მონიტორინგი, მეთვალყურეობა, დოკუმენტაციის შემოწმება და სინჯების აღება. სააგენტოს დაარსების შემდეგ ამ მიმართულებით თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მდგომარეობა. სააგენტო პერიოდულად აქვეყნებს ოფიციალური შემოწმების შედეგებს. გარდა ამისა, ის იძლევა ინფორმაციას საქართველოში დაშვებული ვეტპრეპარატების შესახებ. სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად სულ უფრო მეტ სურსათის პროდუქტს და საკვებ ადგილს უტარებს შემოწმებას.

2016 წელს, სურსათის სააგენტომ შეამოწმა:

- 160 სასაკლაო
- 280 ხორცის მწარმოებელი/რეალიზატორი ობიექტი
- 140 რძის და რძის პროდუქტების საწარმო
- 774 საკვების დაწესებულება და 51 "საშაუმე" (სწრაფი-კვების ობიექტი, სადაც შაურმის შეძენა შეიძლება)
- 929 ბაღის და 297 სკოლის სამზარეულო
- 153 პურის ქარხანა და 254 საცხობი, 88 საკონდიტრო
- 1680 სუპერ და მინი მარკეტი

სურსათის ეროვნული სააგენტო ატარებს დაუგეგმავ შემოწმებას, როდესაც შედის საჩივარი მომხარებლებისგან. გარდა ამისა, **www.consumer.ge** და www.mkidveli.ge სულ უფრო მეტად ზრუნავენ მომხმარებელთა უფლებებზე და მოთხოვნის მიხედვით ატარებენ შემოწმებებს. ევროპის ფონდმა ანდროიდებისთვის შექმნა მობილური აპლიკაცია „სურსათის უვნებლობა", რომელიც ქართველ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ სურსათის სახელმწიფო შემოწმების შედეგებს.

ზოგს სუფთა მოსწონს, ზოგს იაფი

მიუხედავად საქართველოს წინსვლისა, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი ევროსტანდარტებამდე. სურსათის უვნებლობა მრავალგანზომილებიანი საკითხია და თანაბრად მოითხოვს ყურადღებას მთავრობისგან, მომხმარებლისგან, ფერმერებისა და მკვლევრებისგან. საქართველოში სურსათის უვნებლობის საკითხებში უკეთ გასარკვევად, მოდით, ორი სხვადასხვა შემთხვევა განვიხილოთ:

შემთხვევა 1: „2 მაისს იმედის ტელევიზიამ ქართველ საზოგადოებას უჩვენა შემაშფოთებელი ვიდეო. სატელევიზიო არხმა ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა თბილისის რესტორნებში: ჟურნალისტი მიდიოდა კონკრეტულ რესტორნებში, რომლებიც, ძირითადად, მდებარეობს თბილისის პრესტიჟულ უბნებში და ითხოვდა სამუშაოს (მიმტანის, მცხობელის, დამლაგებლის). მას შემდეგ, რაც მიიღო სამუშაო, ფარული კამერით ჩაიწერა ერთ-ერთი რესტორნის სამზარეულოში არსებული მდგომარეობა. ვიდეო შოკისმომგვრელი იყო: სიტყვა „სიბინძურე", რომელიც სუსტი განათების ფონზეც კი თვალსაჩინო იყო (თითქოს კარგ მზარეულს არ სჭირდება განათება საჭმლის დამზადებისას) არ არის საკმარისი იმის ასაღწერად, რაც მაყურებელმა იხილა. საკითხავია არამხოლოდ ის, თუ რა ხდება სამზარეულოში, როდესაც „დიდი ძმა არ უყურებს", არამედ ისიც, თუ რატომ არ მოხვდნენ ეს პოპულარული რესტორნები სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმებული საკვები ადგილების სიაში (შეგახსნებთ, რომ ჟურნალისტმა გამოძიება ჩაატარა თბილისის ყველაზე პრესტიჟული უბნების რესტორნებში). როგორც ჩანს, შემთხვევითი შერჩევით შემოწმება ყოველთვის არ ამართლებს. ზოგიერთმა მომხმარებელმა ამოიცნო თავიანთი საყვარელი ადგილი და სურსათის ეროვნულ სააგენტოს მოსთხოვა, შეემოწმებინა რესტორანი. რა თქმა უნდა, რესტორანი დახურეს. ამ ამბის ყველაზე შოკისმომგვრელი ასპექტი ისაა, რომ ზოგიერთს სურდა, არ დაეხურათ ეს რესტორანი მას შემდეგ, რაც რესტორნის მფლობელი გულისამაჩუყებელი სიტყვით გამოვიდა ტელევიზიით და დაიჩივლა, რომ არ აქვს რემონტის ფული. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველი მომხმარებლების ნაწილმა არც სურსათის უვნებლობის სტანდარტები იცის და არც დიდად ადარდებს ეს საკითხი: ზოგს სუფთა ურჩევნია, ზოგს კი — იაფი.

შემთხვევა 2: რამდენიმე კვირის წინ ჩემი მეგობარი ესტუმრა მის საყვარელ ადგილს თბილისში, რომ გემრიელი ფუნჩულა („ჰონჩიკი") ეჭამა. დიდი ხნის მცდელობის შემდეგ მოახერხა, რომ ფუნჩულა გაეჭრა და ბოლოს აღმოაჩინა, რომ ამ ხნის განმავლობაში კრემში მოხვედრილი რეზინის ნარჩენის გაჭრას ცდილობდა. ბოდიშის მოხდის ნაცვლად მიმტანმა სიცილი დაიწყო. როგორც გაირკვა, მზარეულს რეზინის ხელთათმანის ერთი თითი ფუნჩულაში დარჩა. ჩემი მეგობარი არ თვლიდა, რომ ამ რესტორანში სანიტარული ნორმები ირღვეოდა (სამზარეულო ღიაა), მაგრამ მან მაინც მოითხოვა შემოწმება. შედეგებმა გამოავლინა, რომ სამზარეულოში ყველაფერი სტანდარტების შესაბამისი იყო: საკვებით არავინ მოწამლულა და არც სიბინძურე იყო, მზარეულმა იცოდა, ვინ იყვნენ პროდუქციის მომწოდებლები. ამ ამბის მორალი? სურსათის შემოწმება კარგია, მაგრამ შეცდომები აქაც ხდება: თუ რეზინის ნარჩენები თვალისთვის შეუმჩნეველია, შესაძლოა, მომხმარებელმა გადაყლაპოს.

თუმცა არც ევროკავშირშია მუდამ გარანტირებული სურსათის უვნებლობა (მაგალითად, ცხენის ხორცის სკანდალი 2013 წელს). მაგრამ ევროპელი მომხმარებლებისგან განსხვავებით, ქართველებს არ უნდათ სურსათის მომსახურებაზე პრეტენზიის გამოთქმა; მომხმარებელთა გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტების 69.4% არ რეაგირებს და არც ასაჩივრებს სურსათის უვნებლობის სტანდარტების დარღვევას. ამის მთავარ მიზეზად ასახელებენ იმას, რომ არ აქვთ იმედი, რომ ამით რაიმე შეიცვლება. პრობლემა მიანიშნებს მომხმარებელთა ორგანიზაციების სისუსტესა ან სათანადო მომსახურების მიწოდების დაბალ კულტურაზე.

მკვლელი სანელებლები

საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სხვადასხვა სახეობის სუნელ-სანელებლის 75 ნიმუშიდან აკრედიტირებულ ლაბორატორიაში 25 უკვე გამოკვლეულია. კვლევის შედეგად, დადგენილი ნორმის ზღვარს ზემოთ ტყვიის შემცველობა 4 ნიმუშში გამოვლინდა.

მოქმედი კანონმდებლობით ტყვიის შემცველობა სანელებლებში 5 მილიგრამს არ უნდა აღემატებოდეს კილოგრამში.

ჩატარებული კვლევით, ტყვიის დაშვებულზე მაღალი შემცველობა გამოვლინდა შემდეგ სუნელ-სანელებლებში: წითელი წიწაკა - 7,06მგ/კგ; მშრალი აჯიკა - 6,38მგ/კგ; მშრალი აჯიკა - 5,96მგ/კგ; სუნელი - 5,60მგ/კგ.

ლაბორატორიული კვლევის მიზნით, ნიმუშების აღება მოხდა როგორც მსხვილი, ასევე მცირე სარეალიზაციო ობიექტებიდან, მათ შორის აგრარული ბაზრებიდან.

სააგენტოს განცხადებით, გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, რაც სარეალიზაციო ბაზრიდან პროდუქციის ამოღებას ითვალისწინებს. ტყვიას ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა სისტემის დაზიანება შეუძლია. ჯანდაცვის რამდენიმე წამყვანი ორგანიზაცია ტყვიას კანცეროგენული, ანუ კიბოს პოტენციურად გამომწვევი ნივთიერების კლასიფიკაციას აძლევს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ქართულ სანელებლებში ტყვიის მაღალი შემცველობის აღმოჩენის თაობაზე პირველად შეტყობინება 2015 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საკონსულოდან მიიღო. საკონსულოს ქართულ სანელებლებში ტყვიის საგანგაშო დოზის აღმოჩენის თაობაზე ნიუ-იორკის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტმა შეატყობინა.

ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტი მომხმარებლებს აფრთხილებს, რომ საქართველოში დამზადებულ ზოგიერთ სანელებელს ტყვიის მაღალი შემცველობა აქვს. სპეციალისტების განცხადებით, ტყვიის მაღალი შემცველობის სანელებლებით მომზადებული საკვების მიღებამ შესაძლოა ჯანმრთელობის პრობლემები გამოიწვიოს.

ტოქსიკური ლითონის მაღალი შემცველობის ქართულ სანელებლებს შორის ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ დასახელებულია: ყვითელი ყვავილი, ზაფრანა; სვანური მარილი; ხმელი სუნელი, ან ხარჩოს სუნელი; მწარე წიწაკა, დაფქვილი ჩილი, წიწაკა, დაფქვილი კერი, კოჭა, ქინძი და კვლიავი; ქართული მარილი, ან სვანური მარილი; უცხო სუნელი, ან შამბალა; მშრალი აჯიკა; საცივის სუნელი.

ქართულ მედიაში ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო აცხადებდა, რომ ქართულ სუნელზე არანაირი შეზღუდვა არ მოქმედებდა და სააგენტო მუდმივად აწარმოებდა მონიტორინგს და ლაბორატორიულ კვლევას.

ფერმაში მკვდარი ახალშობილი იპოვეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებასთან მდებარე ერთერთ ფერმაში მკვდარი ახალშობილი თეთრეულში გახვეული და დამალული ნახეს. ბავშვის მამა, აზარხან კახრამანოვი ამბობს, რომ საქონელს მწყემსავდა, მეუღლის მშობიარობის შესახებ კი არაფერი იცოდა. მშობიარე დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, მალე გაირკვა, რომ ქალმა ახალშობილი სახლში დამალა. მეუღლე დაბრუნდა და საქმეში პოლიციაც ჩაერთო. ამ დრომდე უცნობია, ბავშვი გარდაცვლილი დაიბადა, თუ შემდეგ დაიღუპა. შსს-მ გამოძიება 112-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას მშობიარობისას, ან უმალვე, მშობიარობის შემდეგ. დასახელებული მუხლის მიხედვით ირკვევა, რომ საქმეში ეჭვმიტანილი ბავშვის დედა ნიარ კახრამანოვაა. ქალი მშობიარობისას სახლში მარტო იმყოფებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე ვადით. ახალშობილის გვამს ექსპერტიზა გურჯაანში ჩაუტარდა.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ამბობენ, რომ მშობიარე მათთან აღრიცხვაზე აყვანილი არ ყოფილა, შესაბამისად, მანამდე ორსულობა რამდენად კარგად მიმდინარეობდა, ან რა ვადის იყო, მათთვის უცნობია.

„ეს ქალბატონი მანამდე ჩვენთან აღრიცხვაზე არ ყოფილა, შესაბამისად მისი რეალური მონაცემები ჩვენთვის უცნობია. მშობიარე სტაციონარში რომ შემოვიდა, მისივე განცხადებით, 37 კვირის ორსული იყო. აცხადებდა, რომ ნაყოფი მკვდრადშობილი დაიბადა. შემოყვანისას ორსულობა კიდევ არ იყო დასრულებული. მედპერსონალი ჩაერია და აქ დავასრულეთ მშობიარობის პროცესი. პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო და რამდენიმე დღის განმავლობაში სტაციონარში დარჩა,“ — ამბობს საავადმყოფოს მორიგე მედდა თინათინ ტოკლიკიშვილი.

ვინაიდან საქმეში მთავარ ეჭვმიტანილად სწორედ მშობიარე სახელდება, გაზეთი „შირაქი“ პაციენტის მონახულებას დედოფლისწყაროს საავადმყოფოში შეეცადა, თუმცა პერსონალმა მასთან შესვლის ნებართვა არ მოგვცა. როგორც გაირკვა, არც თავად ნიარ კახრამანოვას ჰქონდა ჟურნალისტებთან შეხვედრისა და მომხდარის დეტალებზე ღიად საუბრის სურვილი.

მშობიარობის მოლოდინი ოჯახს არ ჰქონდა, უფრო მეტიც, კახრამანოვების 21 წლის ვაჟი ამბობს, რომ დედის ორსულობის შესახებ არაფერი იცოდა.

„ფეხმძიმედ იყო, მაგრამ არ ვიცოდი თუ იმშობიარებდა. დილით ზემოთ წავედი, გორაზე საქონელს ვმწყემსავდი. ცოლმა დამირეკა, წამოდი საავადმყოფოში წამიყვანე, ძალიან ცუდად ვარო. გამოვიქეცი და რომ მოვედი არ უთქვამს, თუ სახლში ბავშვი იყო დამალული, ალბათ ჩემი შეეშინდა და დაიბნა. არც ის ვიცოდი, რომ იმშობიარა. როცა საავადმყოფოში მივიყვანე, ექიმები გამოვიდნენ და მათ მითხრეს, რომ ბავშვი დაიბადა და სახლში არისო. გამიკვირდა, რას ამბობთ, რა ბავშვი-მეთქი. შემდეგ უკვე საავადმყოფოდან ფერმაში წამოვედი, ბავშვი უნდა წამომეყვანა, მაგრამ პოლიცია მოვიდა და არ წამომაყვანინეს. აქ ძალიან ბევრი პოლიცელი მოვიდა. შემდეგ მითხრეს, რომ ჩემი სისხლის ანალიზიც უნდა აიღონ, მეუღლისაც, ფერმის პატრონისაც, რადგან ასე დაადგინონ ვის ეკუთვნოდა ბავშვი. ეს ჩემთვის ძალიან დიდი შეურაცხყოფა იყო, როგორ შეიძლება ეს კითხვა დაესვათ,“ — აღნიშნავს ეჭვმიტანილის მეუღლე.

„მე არ ვიცოდი, დედაჩემი ორსულად რომ იყო. ვიცი, რომ პერიოდულად ავადმყოფობს ხოლმე, გულიც აწუხებდა, მაგრამ მშობიარობაზე არ ვიცოდი. იმ დღით გავიგე, როცა დედაჩემი საავადმყოფოში დაანწვინეს და მამაჩემმა პოლიციას დააბარა, მე მივსულიყავი და თარგმნაში დავხმარებოდი. ამ დროს მძღოლმა მომიყვა, რომ ესეთი ამბავი იყო. მერე ღამით, 2, თუ 3 საათზე პოლიციამ წამიყვანა. ექსპერტები მოვიდნენ სახლში და ყველაფერი დაათვალიერეს, გამოიკვლიეს,“ — ამბობს ეჭვმიტანილის ვაჟი, შაფხან კახრამანოვი.

გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ეზოში კახრამანოვების ოჯახის ნათესავებსაც შეხვდა, რომლებიც დეტალებში გარკვევას ცდილობდნენ და მშობიარის ჯანმრთელობის მდგომარეობით ინტერესდებოდნენ. მათ მედიაში გავრცელებულ ვერსიებზე ვესაუბრეთ. ახლობლები გამორიცხავენ დედის მიერ ახალშობილის მკვლელობის ფაქტს და ამბობენ, რომ „ეს ამბავი არ ვიცოდი, შემთხვევით მივედი მაგათ ფერმაში. კაცი მარტო იყო, შემომჩივლა, ჩემი ცოლი საავადმყოფოში წაიყვანეს, ბიჭი პოლიციშია და მე მარტო ვარო. არ ვიცი, ქალს რა დაემართა, მუცელი მოეშალა, თუ რა მოხდაო. ცოლ-ქმარს შორის არავითარი ჩხუბი, არავითარი კონფლიქტი არ არსებობდა, სულ კარგად არიან. სამი შვილი ჰყავთ, ისინი დიდები არიან, ორი მათგანი თურქეთშია, რამდენი წელია, იქ მუშაობენ. დედამ მოკლაო რომ ამბობენ, ასეთი რამე გამორიცხულია, შვილს ვინ მოკლავს? მაშინ არანორმალური უნდა იყოს ადამიანი. შეიძლება მუცელი მოეშალა, ეს ქალი ფერმაში მძიმე სამუშაოს ასრულებს, ძროხებსაც წველის, საქონელს უვლის, მძიმეს ეზიდება“... — ამბობს კახრამანოვების ახლობელი ისმაილ გარაევი.

დაუდასტურდება თუ არა მშობიარეს გამოძიების მიერ შერჩეული მუხლი, საკუთარი შვილის მკვლელობა, ეს რამდენიმე კვირაში, ექსპერტიზის დასკვნით გახდება ცნობილი.

ილია მარტყოფლიშვილი

„ბიჭებს მთელი სხეული დაცხრილული აქვთ“ – კრიმინალური გარჩევა და მოკლული მოწმე?!

ოზურგეთში ორი ახალგაზრდა, სიძე-ცოლისძმა: დიმა ომოლჩენკო და გურამ ფოცხიშვილი, ამ უკანასკნელის მანქანაში, ჩაცხრილეს. შედეგად ორივე ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიება ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით აღიძრა, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობას გულისხმობს.

„ოზურგეთელ ბიჭს ვიცნობდი ერთს. დიმა ერქვა. ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ, თუმცა პატარა იყო ჩემზე. სემინარიიდან საზაფხულო არდადეგების პრაქტიკებზე რომ გვანაწილებდნენ სტუდენტებს, მე გურიას ვირჩევდი ხოლმე, მეუფე იოსებთან მივდიოდი ოზურგეთში. იქ გავიცანი და ერთად ვსტიქაროსნობდით. მეუფე იოსებთან მსახურობდა საკათედროში. დედით და მამით ობოლი იყო. 5 წლის იყო, მგონი, როცა დაობლდა. მეუფემ იშვილა და გაზარდა, მერე სახლი უყიდა ოზურგეთში და დაოჯახდა კიდეც. ცოლისძმა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი იყო, რომელიც დღეს მანქანაში ჩაცხრილეს ოზურგეთის ცენტრში და დიმაც ზედ მიაყოლეს, რადგან იქ იყო. მოწმე მოიშორეს. პატიოსანი ადამიანი მოკლეს მხოლოდ იმის გამო, რომ ფაქტს შეესწრო. ცოლი და 3 წლის შვილი დარჩა”, - დაწერა ლტოლვილთა და განსახლების ექსმინისტრმა კობა სუბელიანმა.

დიმა ომოლჩენკო რომ შემთხვევითი მსხვერპლია და მისი სახით მოწმე მოიშორეს, ამას ამბობს ჩვენი რესპოდენტიც, რომელის ვინაობასაც, მისივე თხოვნით, არ ვასაჯაროებთ.

- საყვარელი ბიჭი იყო დიმა... როგორც ვიცი, წლების წინ მამა ვასილმა იპოვა 5 წლის მშიერი ბავშვი ქუჩაში და თავისთან წაიყვანა. მერე მეუფე იოსებმა ნახა, მის სუფთა თვალებს ენდო, სამთავროში გადაიყვანა და იქ ზრდიდა. კარგი ბიჭი დადგა, თბილი, გულისხმიერი... წერენ, მეუფის მძღოლი იყოო, ოფიციალურად მეუფეს მძღოლი არ ჰყავს, მაგრამ დიმას მეუფე და ეკლესია უყვარდა და ყველა საქმეში ეხმარებოდა. დრო და დრო მის მანქანასაც მართავდა. ერთი პერიოდი დიმა, ცოლთან ერთად, საბერძნეთში იყო წასული, იქ და ჰყავს, მასთან ცხოვრობდნენ, თან საკმაოდ მძიმე შრომას ეწეოდნენ, რომ რაიმე ელემენტარული შეეძინათ ოჯახისთვის. ბიჭს ბინა მეუფემ შეუძინა, მაგრამ ოჯახს ათასი რამ სჭირდება და ცოლ-ქმარიც თავდადებით შრომობდა... საბერძნეთში ცოტა რაღაც რომ იშოვეს, მაშინვე სამშობლოში დაბრუნდნენ. ნეტავ სულ არ ჩამოულიყვნენ, აი, რა საშინელება მოხდა... საწყალ ბიჭებს მთელი სხეული დაცხრილული აქვთ...

– მეორე მოკლული მისი ცოლისძმაა და სავარაუდოდ, სწორედ ის იყო მკვლელის სამიზნე...

– გურამ ფოცხიშვილის ბაბუა, ისიც გურამ ფოცხიშვილი, კანონიერი ქურდი იყო, მამაც - დავით ფოცხიშვილი კრიმინალურ სამყაროს მიაკუთვნებდა თავს, თუმცა, ბოლოს რაღაც დაპირისპირება მოუხდა და ე.წ. ავტორიტეტებმა გარიყეს.. სხვათა შორის, ეს ამბები 90-იან წლებში დაიწყო, როცა ოზურგეთში არჩევნების მოსაგებად ერთი ცნობილი კანონიერი ქურდი ჩამოიყვანა იმჟამინდელმა ხელისუფლებამ. გურამის მამა ამ ქურდს დაუპირისპირდა და ესროლა. მერე კი სხვა კანონიერ ქურდებთანაც ჰქონდა კონფლიქტები.

გურამი პირდაპირ განწირული იყო ამ სამყაროსთვის - ბაბუისა და მამის კვალზე ისიც კრიმინალი გახდა, თუმცა კრიმინალური სამყაროს რიგ წარმომადგენლებთან მასაც საკმაოდ მძიმე დაპირისპირება ჰქონდა, ამასობაში დააპატიმრეს და სიკვდილს გადარჩა. მაგრამ კრიმინალებმა პატიება არ იციან, ადრე თუ გვიან შურს იძიებენ და ამ შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, ასე მოხდა. როგორც ვიცი, ციხეშიც სცადეს მისი მოკვლა, იქ მაკრტლით დაჭრეს, მაგრამ გადარჩა.

– გურამი რის გამო დააპატიმრეს?

– 2006 წელს იარაღის უკანონო შენახვისა და პოლიციის წინააღმდეგობის გაწევისთვის დააპატიმრეს. 25 წელიწადი ჰქონდა მისჯილი. მაგრამ 2013 წელს შეიწყალეს და გამოვიდა. მას შემდეგ შინ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, უთვალთვალებდნენ, შესაფერისი მომენტი იპოვეს და... ამბობენ, რომ სათევზაოდ მიდიოდა და თან დის ქმარიც წაიყვანა. როგორც ეტყობა, მანქანაში დაურეკეს და შეხვედრა სთხოვეს, ისიც სათევზაოდ კი არა, სულ სხვა მიმართულებით წავიდა, სადაც დის ქმართან ერთად მანქანაში ჩაცხრილეს.

თელავის საკრებულოს წევრი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს

თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ზაზა ზაზაშვილი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. სოფელ რუისპირის მაჟორიტარი დეპუტატი სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა დღეს საკრებულოს შენობაში აიყვანეს.

წინასწარი ინფორმაციით, გამოძიება მას ქრთამის სახით 15 ათასი ლარის აღებას ედავება. ზაზაშვილი უცხო ქვეყნის მოქალაქეს მინის შეძენაში დახმარებას ჰპირდებოდა. ზაზაშვილის დაკავებას თელავის თემის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი ადასტურებს.

ზაზაშვილი საკრებულოში ფრაქცია „დემოკრატების“ წევრი იყო. 2014 წლის 2 აგვისტოდან ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილ კომისიას. 2010-2014 წლებშიც ზაზა ზაზაშვილი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იყო და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ მუშაობდა.

უკანონო თევზჭერა ალაზანზე

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა თევზჭერის წესების დარღვევის 4 ფაქტი გამოავლინეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, მდინარე ალაზანზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მდინარე იორზე, მოქალაქეები, აკრძალულ დროსა და ადგილზე, აკრძალული საშუალებებით - სახლართი ბადით, ე.წ. „ეკრანითა“ და კუსტარულად დამზადებული თევზმახით, ე.წ. „ვენტერით” ახდენდნენ უკანონო თევზჭერას.

ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. მასალები, შემდგომი რეაგირებისთვის, შესაბამის საგამოძიებო ორგანოს გადაეგზავნება.

ამას გარდა, სიღნაღისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში, მდინარე ალაზანზე, მოქალაქეები თევზაობდნენ კუსტარულად დამზადებული თევზმახით - ე.წ. „ვენტერითა” და მოსასამელი ბადით, რომელთა ზომები არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №-423 დადგენილებით დამტკიცებულ “თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკურ რეგლამენტით” გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაშიც შედგა შესაბამისი ოქმები. მასალები, შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნება.

ილია მარტყოფლიშვილი

„ერთი დღე სოფელში“ ექიმებთან ერთად

გამგებლის ინიციატივის „ერთი დღე სოფელში“ მეორე ეტაპი ამჯერად მედიკოსებთან ერთად მიმდინარეობს. გამგებელი მუნიციპალიტეტის სამსახურებთან ერთად სოფლებს სტუმრობს და მოსახლეობას მათთვის საინტერესო საკითხებზე პირადად პასუხობს. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ მოქალაქეებს კონსულტაციას გამგეობის შესაბამისი სამსახურები უწევენ. პარალელურ რეჟიმში კი მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას „წითელი ჯვრის“ დედოფლისწყაროს ფილიალი უწევს. გამგებელი ამბობს, რომ მედიკოსების სოფლებში ჩაყვანას თავად მოსახლეობა ითხოვდა.

სოფელ ფიროსმანში ადგილობრივების ნაწილმა გამგებლის წინაშე დააყენა ვენახების საკითხი. როგორც სოფლის მაცხოვრებლები ამბობენ, მათი ნაწილი ვენახებს ამუშავებს, თუმცა გაფორმებული არ აქვთ. რამდენიმე წლის წინ კი ფართობს სხვა დაეპატრონა. მათი განცხადებით, ამჯერად მოსავალს უვლიან და კრეფენ, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც ძველი მეპატრონე მოსულა და მოსავლის დაკრეფა ძალის გამოყენებით თავად მოუთხოვია.

„ამჯერად კი ვუვლით, მაგრამ გაურკვეველი მომავალი გვაქვს, არ ვიცით, ასე როდემდე გაგრძელდება და მშვიდად ვერ ვართ. ხომ შეიძლება, ერთხელაც მოგვედაონ და დავკარგოთ. გამგებელთან ამიტომ მოვედით, რომ გავერკვეთ სიტუაციაში. თუ გაფორმება და დაკანონებაა, დროულად გავიფორმოთ, რომ მშვიდად ვიყოთ და ყოველ სეზონზე შიში არ გვქონდეს,“ – აღნიშნავენ ადგილობრივები.

როგორც გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა გაარკვიეს, ამ ტერიტორიაზე არსებული ვენახები არ არის რომელიმე პირზე გაფორმებული, შესაბამისად, ის, ვისაც სოფელი მფლობელად მოიაზრებს, კანონიერი პრეტენზიის წამოყენებას ვერ შეძლებს. ამდენად, ისინი, ვინც მრავალი წელია ვენახს ამუშავებენ, თავისუფლად შეძლებენ ფართის დარეგისტრირებას.

ადგილობრივებს ასევე აინტერესებდათ, როდის მოგვარდება სოფელში სასმელი წყლის პრობლემა და ასევე, როდის დასრულდება სარწყავი სისტემების აღდგენის პროცესი, კერძოდ, როდის ამოქმედდება ახლადაშენებული სარწყავი სადგური. მოსახლეობამ გამგებლისგან შესაბამისი პასუხები მიიღო.

„წითელი ჯვარის“ დედოფლისწყაროს ფილიალში, რომელიც გასულ წელს გაიხსნა, აცხადებენ, რომ უფასო სამედიცინო აქციები მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე ინტენსიურად ტარდება.

„სოფლებში გასვლები ძალიან ხშირად გვაქვს, ყოველთვიურად რამდენიმე უფასო აქციას ვმართავთ. მირზაანში, მაჩხაანსა და ოზაანში უკვე ვიყავით, ამჯერად ქვემოთ, ალაზნისპირა ზონაში ვიმყოფებით. ადგილზეც ჩავდივართ, მაგრამ პარალელურად ვაგრძელებთ დედოფლისწყაროში მომსახურებასაც, რადგან ყველა აპარატურა სოფლებში ვერ მიგვაქვს. სოფელ ფიროსმანში საკმაოდ დიდი ნაკადი მოვიდა, ფართო ინტერესი გამოიწვია ჩვენმა სტუმრობამ. ზოგადად ამ სოფლებში ექიმი ძალიან ჭირს. ადგილზე ჰყავთ ექიმი, მაგრამ აქ შესაბამისი ინფრასტრუქტურა და აპარატურა არ გააჩნიათ, რომ სრულყოფილი მომსახურება მიიღონ. ამიტომაც გვქონდა მოლოდინი, რომ მოქალაქეთა დიდი ოდენობა მოვიდოდა. ჩვენ მზად ვიყავით ამისათვის და ყველა მათგანს კვალიფიციური და შესაბამისი მომსახურება გავუწიეთ. სამასზე მეტ პაციენტს ჩაუტარდა ექოსკოპიური, ფარისებრი ჯირკვლის, მუცლის ღრუს ორგანოების, კარდიოლოგიური, დიაბეტური, გინეკოლოგიური და სხვა სახის კვლევები. რაიონულ ცენტრში ამოსვლასაც ხშირად ვერ ახერხებენ, რადგან საკმაოდ დიდი მანძილია და ყველას არ შეუძლია ტრანსპორტირება. ვეცდებით, ხშირად ვესტუმროთ ასეთ პრობლემურ სოფლებს. წლის განმავლობაში სოფლებს რამდენჯერმე ვეწვევით და ყველა სოფელს მოვივლით. საქართველოს მასშტაბით მეორე რაიონია, სადაც წითელი ჯვრის ადგილობრივ ფილიალში ასეთი უნიკალური აპარატურა გვაქვს. მოგეხსენებათ, იაპონიის საელჩომ საჩუქრად გადმოგვცა და აქტიურად ვიყენებთ,“ – აღნიშნავს „წითელი ჯვრის“ დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელი **ნათელა თამაზაშვილი.**

„შირაქი“ პაციენტებსაც გაესაუბრა, რომელთა განსაკუთრებული სიმრავლის მოწმენი თავადაც გავხდით. ისინი ამბულატორიის პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას და ხაზს უსვამენ, რომ დედოფლისწყაროში მგზავრობას და ექიმთან ვიზიტს ხშირად ვერ ახერხებენ, ამდენად, ამგვარი აქციები მათთვის ყველაზე მეტად მორგებული აღმოჩნდა.

„დანიშნულება მომცეს და მივდივარ, ძალიან კმაყოფილი ვარ. ექიმი კი გვყავს, მაგრამ ყველაფრის სპეციალისტი არ არის, თანაც მე ექოსკოპიის გადაღება მინდოდა. ადგილზე აპარატურა არ არსებობს, ვერც დედოფლისწყაროში წასვლას ვერ ვახერხებდით და რადგან დღეს ექიმები აქ ჩამოვიდნენ, ვისარგებლეთ შემთხვევით და მოვედით. ამ სოფელში, მრავალი წელია, ასეთი რამ არ ყოფილა და ყოველწლიურად რომ ჩამოვიდნენ, კარგი იქნება. ყველა გაჭირვებულია, აქ ბევრი ავადმყოფი ცხოვრობს და ყურადღება გვჭირდება. მაგრამ ახლაც მადლობლები ვართ უფასო კვლევებისთვის, ფინანსური შესაძლებლობები არ გვქონდა და ეს უფასო აქცია ძალიან დაგვეხმარა. ძალიან შორს ვცხოვრობთ, უმრავლესობას არანაირი შემოსავალი არ აქვს. სოციალურ დახმარებებს ვიღებდით, მაგრამ ისიც ბევრს მოეხსნა და ძნელია ექიმთან წახვიდე. 10 ლარი მაინც უნდა, რომ დედოფლისწყაროში წახვიდე. ამბულატორია არ არის გახსნილი და მხოლოდ ექიმმა რა უნდა გააკეთოს ცარიელი ხელებით, ავადმყოფს როგორ უშველის,“ - აღნიშნავენ ფიროსმანის მაცხოვრებლები.

მსგავსი შეხვედრები მომავალი კვირიდან სხვა სოფლებში გაგრძელდება. დაინტერესებულ მოქალაქეებს თარიღის დადგენა თავისივე სოფლის რწმუნებულთან შეუძლიათ.

ილია მარტყოფლიშვილი

სიკეთის ძალა

ვაგრძელებთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამართული ინტელექტუალური კონკურსის „ზღაპარ იყოს“ გამარჯვებული მოსწავლეების ნამუშევრების გამოქვეყნებას. ამჯერად გაზეთი „შირაქი“ გთავაზობთ №1 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის, ნინო გურაშვილის ჩანახატს:

სადღაც, შორეულ წარსულში, ადამიანის ხელით განადგურებულ და გაბეჩავებულ სოფელში, ერთ პატარა ფიცრულ ქოხში ცხოვრობდა ობოლი ბიჭი, რომელსაც არაფერი გააჩნდა პატარა, ბამბის გუნდასავით თეთრი ცხვრისა და დრო-ჟამისაგან გაცვეთილი,ძველი სალამურის გარდა. სახლის უკან ვიწრო ბილიკი მიიკლაკნებოდა, რომელიც ერთ-ერთ დაბერებულ, გამოფიტულ და ქერქაცვენილ ხის ჯირკვთან მიდიოდა. ჯირკვი შემაღლებულ ადგილზე იდგა და მთელ სოფელს გადაჰყურებდა. ის იმდენად ასაკოვანი იყო, რომ მთელი სოფლის ისტორია იცოდა, ავიც და კარგიც, საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი და ყურით გაგონილი. ხვდებოდა, რომ დიდი დრო აღარ ჰქონდა დარჩენილი,სიცოცხლის იმედსა და მიზანს მხოლოდ ახალი, კენტად ამოსული, ნორჩი ყლორტი აძლევდა, ხოლო ხალისსა და სიმხნევეს მატებდა ობოლი ბიჭის დაკრული მელოდია.

სიყვარულს მოკლებული ბიჭის თვალები უდიდეს სითბოს და სიკეთეს ასხივებდა. თავად შესაბრალებელ ობოლ ბიჭს, უსიცოცხლოდ დარჩენილი ხის ჯირკვი ებრალებოდა, დროდადრო მიირბენდა და წყალს უსხამდა, ძალიან უყვარდა ჯირკვთან საუბარი და ისტორიების მოსმენა, მოხუცი ჯირკვიც სიამოვნებით იხსენებდა სოფლის ისტორიებს და დაუზარებლად ესაუბრებოდა.უყვებოდა ზღაპებს, უკითხავდა ლექსებს, განსაკუთრებით ხშირად ახსენებდა ხოლმე იმ ამბავს, რომ მოსახლეობა განუწყვეტლივ ჩეხავდა ხეებს და განიცდიდა იმას, რომ ახალი სიცოცხლის დარგვაზე არავინ ფიქრობდა. მერე სიმღერას წაიღიღინებდა.

ჯრელ-ჯრულა ფოთლები,
ზღაჭრების მოამბე,
შრიალით ეცემა ნესტიან ნიადაგს,
აი ის ფოთოლი, ქარი რომ მოაფრენს,
სვედასაც არიგებს, არიგებს იაფად.“

სიმღერის დასასრულს ჩაახვევლებდა და მძიმედ ამოიოხრებდა, ამ დროს კი ბიჭუნა სალამურს მოიმარჯვებდა და საოცარი სინაზით, სიტკბოთი და ისეთივე სევდით, როგორიც დაობლებულს შეეფერება, უკრავდა. მრავლისმნახველი ხე კი, ყოველი დაკვრის დაწყებისთანავე გაოცებული შეჰყურებდა და უსმენდა მისი ჟღერადობის ჰარმონიულობას. ნატიფი ნაპრალები უთრთოლდებოდა და გულზე ხვდებოდა ყოველი ბგერა.

დილაობით ბიჭუნა, ცხვართან ერთად, იმ ხის ჯირკვთან მიდიოდა, ლაღობდა, ცხვარს გაედევნებოდა, დარბოდა, დახტოდა , მერე უამრავ ბაბუაწვერას დაკრეფდა, ასევე უამრავ აუხდენელ ოცნებას და სურვილს ჩაიფიქრებდა, სულს შეუბერავდა და მოხუც ხესთან ერთად მღეროდა:

„ახლა დილაა, ლამაზი დილა,
და უკითხელი მზეც ამოიწვერა,
ვუღიმი მინდორს და ველი იმას,
რომ თავს დამიკრავს ბაბუაწვერა.
ისიც მიღიმის და მიძღვნის სალამს,
და თან მახსენებს ბავშვობის სურვილს,
ზარაშუტივით გაფანტა ქარმა,
და ჭრელ უკვილებს გარშემო უვლის.
მიჰყვება ნიავს, როგორც დინებას,
ერთი წამია მისი ცხოვრება,
აფრინდა ცაში, დავუმშვიდობე,
თან გავატანე ჩემი ოცნებაც.
ბავშვური სილაღით ვინახავ იმედს,
რომ ჩემს ოცნებას ის ამისრულებს.
თუ გულით უნდა, მაინც ახდება,
ადამიანი რასაც ისურვებს.“

მოხუც ხეს ძალიან უყვარდა ობოლი ბიჭი,მის გარდა დამლაპარაკებელიც არავინ ჰყავდა, ბიჭსაც უყვარდა მოხუცი, უვლიდა და უფრთხილდებოდა.

ერთ საღამოს, როდესაც ობოლი ბიჭუნა წყლის მოსატანად ხისკენ გაეშურა, შორიდან დაინახა, როგორ სჭრიდნენ ისედაც უსიცოცხლო, განადგურებულ ჯირკვს. იმ წამსვე დასახმარებლად გაიქცა და დაქანცულმა, სუსტმა და უსუსურმა, გოლიათივით დიდ და ძლიერ კაცებთან წინააღმდეგობის გაწევა სცადა, სწორედ ამ დროს დაუვარდა და გაუტყდა მისთვის ყველაზე სანუკვარი და ძვირფასი ნივთი, სალამური.

დიდი ხვეწნა-მუდარით, შეძლო და გადააფიქრებინა ხის მოჭრა თანასოფლელ კაცებს და მიუხედავად ამ სიხარულისა, მაინც ძალიან დამწუხრებული იყო იმის გამო, რომ სალამური გაუტყდა. მუჭაში მოიმწყვდია მისი ნამსხვრევები და დასტიროდა მისი ცხოვრების მყარ ნაწილს, რის გარეშეც ცხოვრება უფერული და წარმოუდგენელი ეგონა. მას უყვარდა სალამური, უყვარდა დაკვრა, ბიჭმა იცოდა მუსიკის ფასი, შვებას მხოლოდ მუსიკაში ხედავდა.

ობოლი ბავშვი დამწუხრებული წავიდა სახლში, ის ღამე არ სძინებია, ერთადერთი მეგობრის ნამსხვრევები სასთუმალთან დაალაგა, თვითონ კი ცას აჰყურებდა და ფიქრობდა. დილით, ჩვეულებისამებრ, ხესთან წავიდა წყლის მოსატანად, მაგრამ იქ ის ჯირკვი აღარ იყო, მის ადგილას მოხუცი კაცი იჯდა და ხელში ეჭირა ობოლი ბიჭისთვის განკუთვნილი, ჯირკვის ერთადერთი ნორჩი ყლორტისგან გამოთლილი სალამური.

მოხუცი ბრძენი ხის ჯირკვი გრძნობდა საკუთარი აღსასრულის მოახლოებას და გადაწყვიტა, რაიმე ღირებული და კეთილშობილური დასასრული ჰქონოდა მის ამბავს. სწორედ ამიტომ სიკეთეს სიკეთითვე უპასუხა და ერთადერთი ყლორტი, რომელიც გაზაფხულივით იმედისმომცემი იყო,ობოლ ბიჭს უანდერძა.

ასეა ხოლმე... სიკეთეს ვაკეთებთ ბუნებისთვის და ის ორმაგად გვიბრუნებს.

ნინო გურაშვილი
დედოფლისწყაროს №1
საჯარო სკოლის მეთერთმეტე
კლასის მოსწავლე

შირაქის სკივრი

1947 წლის ივლისი

○ შირაქში კომბაინერებმა ს. ოგბაიძემ და დ. ბაიაშვილმა ერთმანეთს გულისნადები გაუზიარეს და შეთანხმდნენ: – გაიგე, მტს–ს სამი ახალი ძრავი მიუღია, ბიჭები არ ვიქნებით, თუ თითო ცალი არ დავითრიეთო. კომბაინები მხოლოდ ნახევარი დღე ამუშავეს და უცაბედად ორივე კომბაინი გააჩერეს. გაირკვა რომ საკისარები ძლიერად დაეჭირათ და ამის გამო დატვირთვას ვერ გაუძლო დაიწვა და ჩაიმტვრა. უგუნურ კომბაინერებს ახალი ძრავების მიღების იმედი ჰქონდათ, მაგიერად კი რაიპროკურატურამ ამ კომბაინერებს ძვრა უნდა უყოს.

1959 წლის ივლისი

○ სოფელ სამთაწყაროში აშენდა მაღაზიის ახალი შენობა. სპეციალური თაროები და ფანჯრები ჩასმულია, თუმცა წვრილმანი დეფექტებისა და ნაკლოვანებების გამო მისი ექსპლოატაციაში გადაცემა არ ხდება. ეს მაშინ, როცა მაღაზია წლების განმავლობაში მოთავსებულია პატარა კერძო ბინაში, სადაც შეუძლებელია სისუფთავის დაცვა და კულტურულად ვაჭრობა.

○ ნაკლოვანებებია წითელწყაროში ღორის ხორცის წარმოებაში. ნაკისრი 350–ის ნაცვლად 491 სული ღორი ჰყავს, მაგრამ მაინც არ შესრულებულა დედაღორების სულადობის გეგმა. დედაღორების მომვლელი მარიამ აკოფიანი ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერა ფლობს პირუტყვის მოვლის პროგრესულ წესებს. მისთვის უცნობია შრომის ანაზღაურების პირობები. ეს კი ანელებს მის ინტერესს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის. ღორის ხორცის წარმოების ნაკლოვანებების მიზეზად პირუტყვის დაბალი ჯიშობრივი შედგენილობა უნდა ჩაითვალოს.

○ არბოშიკის სასოფლო საბჭომ დაამთავრა მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მისი გადახურვა. განსაზღვრულია ნოემბრამდე დამთავრდეს სახლის შიგამოწყობის სამუშაოები და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცეს.

○ წითელწყაროს კომკავშირელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჯართის შეგროვების ერთთვიურში. სტალინის სახ. მეტალურგიულ ქარხანას გაუგზავნეს 95,4 ტონა ლითონი. დაჯილდოვებულ იქნა წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია კალათბურთის კომპლექტით, ხოლო კომკავშირის რაიკომიტეტის პირველი მდივანი შ. ცხვარაძე კარგი ხელმძღვანელობისთვის დაჯილდოვებულია მაჯის საათით – „პობედა“

○ როგორც იქნა დამთავრდა სამთაწყაროს კლუბის შიგამოწყობის სამუშაოები. მაგრამ სახურავი კვლავ მოითხოვს შეკეთებას, სცენა მოუწყობელია და რაც მთავარია, კლუბს სკამები არა აქვს, რომ მაყურებლებმა ნორმალურად უყურონ კინოს. შემოსაღობი და მოუწყობელია კლუბისა და სკოლის ეზო, დერეფანი დანაგვიანებულია და პირუტყვის თავშესაფარს წარმოადგენს.

1967 წლის ივლისი

○ წითელწყაროს პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი ფ. მოლოდინაშვილი იტყობინება, რომ ღამით ა. კუზნეცოვმა წითელწყაროს ქალაქის კოოპერატივის №1 მაღაზიიდან გაიტაცა 61 ცალი საათი, ფული და ლატარიის ბილეთები. კუზნეცოვის საქმე გაარჩია სახალხო სასამართლომ. მოსამართლე ალექსანდრე სეფიაშვილმა მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1973 წლის ივლისი

○ სოფელ არხილოსკალოში, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ყანაში ხანძარი გაჩნდა. შედეგად ადგილი ჰქონდა მარცვლეულის ახალი მოსავლის დაღუპვას.

○ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მექანიზატორად მუშაობს კაცი, რომელიც მეუღლეს, დარეჯან ლობჯანიძეს გაეყარა. მათ ჰყავთ მცირეწლოვანი შვილი, მაგრამ თავს არიდებს ალიმენტის გადახდას. საქმე განიხილა ონის სასამართლომ და ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას აცნობა, რომ უმამო ბავშვმა მიიღოს კუთვნილი ალიმენტი.

○ უკანასკნელ ხანს სახე იცვალა სოფელმა გამარჯვებამ, მისი ფართო მოასფალტებული ქუჩები კოლმეურნეთა ორსართულიანმა სახლებმა დაამშვენა.

1975 წლის ივლისი

○ წითელწყაროელებმა იციან პურის ყადრი, ამიტომ იცავენ მას დატაცებისაგან და გაფუჭებისაგან. მაგრამ მაინც არის მითვისების ფაქტები. მძღოლმა ს. კოხტაშვილმა სოფ. ოზაანის კოლმეურნეობის „მწარეწყლის“ კალოდან დაიტაცა 740 კგ ხორბლის ახალი მოსავალი. ხოლო, შ. ჩოხელმა რომელიც ზემო ქედის მარცვლეულის №3 საწყობის გამგედ მუშაობდა ბოროტად გამოიყენა სამსახური და მიითვისა 2 660 კგ ქერი. ამავე კოლმეურნეობის მძღოლმა ი. ციხიშვილმა მიითვისა 380 კგ მარცვალი. ლ. ფერეხაშვილმა გორის „საქსოფლტექნიკის“ მძღოლმა, რომელიც მიმაგრებული იყო ზემო მაჩხაანში მარცვლეულის გადასატანად, მიითვისა 610 კგ ხორბალი. დატაცებას განაპირობებს კადრების შერჩევაში არსებული ნაკლოვანებები.

1982 წლის ივლისი

○ მიუხედავად გატარებული მრავალი ღონისძიებისა, ქალაქი წყლის უკმარისობას განიცდის. ზოგს წვეთი წყალი ენატრება, იმიტომ რომ სხვას დღედაღამ ონკანი ღია აქვს და მუქთად იკარგება. არ ვცემთ პატივს საზოგადოებას, მეზობლებს, არ ვიცავთ ამ ქალაქის ღირსებას.

○ „ვინაიდან კახეთში ფერადი ტელევიზორების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, მას სჭირდება სათანადო მომსახურება. ყველა მფლობელი ოჯახი ვალდებულია ტელევიზორი აიყვანოს საგარანტიო აღრიცხვაზე. ამის გაკეთება შესაძლებელია რაიონების ტელე ატელიეებში. სავალდებულოა, საგარანტიო აღრიცხვაზე ავიდეს რადიო, ტელე და მაგნიტოფონები. ატელიეები უფასოდ აწარმოებენ შეკეთებას,“ – იტყობინება „საქრადიოტელემომსახურეობის“ თელავის სარაიონთაშორისო დირექცია.

○ რამდენიმე წელია მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით რაიონის ცენტრალურ გზებზე ავტობუსების გაჩერებებზე დაიწყო მოსაცდელი ჯიხურების მშენებლობა. სამწუხაროდ ბევრ მათგანს არ ეღირსა დამთავრება. არც სკამებია მოწყობილი, არც მოასფალტებულია, ზოგან კედლებიც შესალესია. ასეა გედიქის ხეობაში, არბოშიკ–ოზაანის გზის გასაყართან. სოფელ გამარჯვებასთან, მეფრინველეობის შირაქის განყოფილებასთან და სხვა. საინტერესოა, როდის დააბოლოებენ ამ საქმეს?

○ ქალაქ წითელწყაროს რუსთაველის ქუჩაზე ოთხ და ხუთსართულიანი შენობების ნახმარი წყლის ორმო არ სუფთავდება. ტუალეტის ნახმარი წყლები ღვარად მოედინება ილია თარაშვილის და მარუსა ალუღიშვილის ეზოებზე. ბინძურდება ბოსტნეული და ხილი. დგას აუტანელი სუნი, ეს სიბინძურე შემდეგ ღიად გადმოდის სტალინის ქუჩაზე ტბორდება და პირდაპირ ქალაქის საბჭოსა და აფთიაქის მიმდებარედ ქმნის ანტისანიტარიას. ვენდისპანსერის ორმოდან გამონადენი სიბინძურე ტბორდება გვერდზე მცხოვრებთან.

○ ერთ დროს ლამაზი იყო ქალაქ წითელწყაროს ბარათაშვილის ქუჩა, მაგრამ სილამაზე მალე დაჰკარგა. ზოგმა გაზი მოამიზეზა, ზოგმა წყალი და თავიაანთ ნებაზე ათხარეს და დათხარეს მშვენიერი ქუჩა. ახლაც ყრია ნარჩენები და ხრეში. გაზი ყველას უნდა, მაგრამ გადათხრილი ქუჩების გასწორებას აგვიანებენ.

(სტილი დაცულია)

მოამზადა ილია მარტყოფლიშვილმა

10 ყველაზე ხშირი დარღვევა,

რომელთა გამოც მძღოლებს მართვის მოწმობაზე ქულები აკლდებათ

მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემის ამოქმედებიდან 11 ივლისის ჩათვლით, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის საპატრულო პოლიციამ 18 403 საჯარიმო ქვითარი გამოწერა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდარღვევებს შორის განსაკუთრებით რამდენიმე მათგანი ჭარბობდა, რომელთა გამოც მოქალაქეებს 5-დან 25 ქულამდე დაკარგეს:

1. მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგანლიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის, ასევე მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ან მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საშიშროების შექმნის გამო, საპატრულო პოლიციამ 4 779 საჯარიმო ქვითარი გამოწერა. შედეგად, მძღოლებს მართვის მოწმობაზე 5 ქულა დააკლდათ;

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობის გამო 3 216 მოქალაქე დაჯარიმდა, რომელთაც ასევე 5 ქულა ჩამოაკლდათ;

3. ავტომობილის მართვის დროს, მძღოლის მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობა ერთ-ერთი ყველაზე ხშირი დარღვევაა და ახალი რეგულაციების ამოქმედებიდან პირველი 11 დღის განმავლობაში, ამის გამო პოლიციამ 2 566 მოქალაქე დააჯარიმა და მართვის მოწმობაზე 15 ქულა დააკლო;

4. უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთის გამო 2024 მოქალაქე დაჯარიმდა. მათ მართვის მოწმობაზე 10 ქულა დაკარგეს;

5. 11 დღის განმავლობაში მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების დარღვევის 1566 ფაქტი დაფიქსირდა და ამავე რაოდენობის მოქალაქეს 15 ქულა დააკლდა;

6. საქვეითო გადასასვლელის გავლის, საგზაო ნიშნის ან გზის სავალი ნაწილის მონიშვნის ხაზების, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი ან ხმოვანი სიგნალით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან ავტომაგისტრალზე მოძრაობის წესების დარღვევის, აგრეთვე მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით საგზაო მოძრაობის შეფერხების, გარდა ამისა, ამკრძალავი ნიშნის "გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობის, დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობის შედეგად სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვისი ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანების გამო საპატრულო პოლიციამ 807 საჯარიმო ქვითარი გამოწერა და მძღოლებს 25-25 ქულაც ჩამოაკლო.

7. გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევის გამო კი 654 მძღოლი დაჯარიმდა.

8. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, მისაბმელი მოწყობილობა, ფარები, უკანასაგაბარიტო ან მინის საწმენდი მექანიზმი დღე-ღამის ბნელ დროს, წვიმის ან თოვლის დროს, ან წყობრიდანაა გამოსული, ან თუ დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა, ჩვენს 529 თანამოქალაქეს მართვის მოწმობის 5 ქულად დაუჯდა.

9. ისეთი ავტომობილის საშუალების მართვის გამო, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება ან მესაკუთრემ სხვა მფლობელის მიერ სხვა პირისთვის ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემის მიზეზით პოლიციამ 315 საჯარიმო ქვითარი გამოწერა და მძღოლებს 15 ქულაც დააკლო.

10. მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის (15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით) გადაჭარბება, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვისი ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება 247 მძღოლს 10 ქულად დაუჯდა.

ვ ა კ ა ნ ს ი ა

სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს ვაკანსიას საქმისმწარმოებლის ვაკანტურ პოზიციაზე. ასევე, ამ პოზიციაზე დასაქმებულს მიეცემა დამატებით საგაკვეთილო საათებიც.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: ☎ 599 011 360

ელექტრონული ფოსტა: **giorgibugridze@gmail.com**

დედოფლისწყაროს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა და მწერალთა ასოციაციის წევრები თანაგრძნობას უცხადებენ ცნობილ პოეტს მარინა ცხვედიაშვილს და მხატვარს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ჯემალ კუხალაშვილს მამიდის

რუსუდან ილიას ასულ ცხვედიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის წევრები: ვანო ნატროშვილი, ხათუნა აგლაძე, ნათელა თამაზაშვილი, დიმიტრი ყოჩიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს მძახლის

არსენ ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს და მარიკა პოპიაშვილს

არსენ ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლადოს ვარსკვლავი

ქართველი მსოფლიო ბარიტონის ლადო ათანელის მონაწილეობით გამართული საოპერო სპექტაკლები თბილისის საოპერო სცენაზე, მუდამ დიდი ყურადღების ცენტრში ექცევა ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც, როცა მისი ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილი საოპერო საღამო გაიმართა. მრავალფეროვანი რეპერტუარიდან იგი გამორჩეული პროგრამით წარსდგა ზღვა მაყურებლის წინაშე. ამ დღეს – 7 ივლისს, ოპერაში მისი კოლეგების გარდა, დედაქალაქის ნარჩევი საზოგადოება შეიკრიბა.



მკითხველისთვის აუცილებლად საგულისხმო იქნება იმის გაგება, თუ ამ საღამოს რა რეპერტუარი შესთავაზა მან მაყურებელს. დონ კარლოსის და ალვაროს დუეტი ჯუზეპე ვერდის ოპერიდან „ბედის ძალა“. მას პარტნიორობას უწევდა მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ტენორი, ამჟამად თბილისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბრწყინვალე ადამიანი ბადრი მაისურაძე, პიეტრო მასკანის ინტერმეცო ოპერიდან „მეგობარი ფრიცი“ და ჯაკომო პუჩინის მეორე მოქმედება ოპერიდან „ტოსკა“, რომელშიც მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ოპერის სოლისტები: არმაზ დარაშვილი – კავარდოსი, ტოსკა–იანო ალიბეგაშვილი და სკარპია – ლადო ათანელი, თითოეულ არიას ხანგრძლივი აპლოდისმენტები სდევდა თან. აქვე არ შემიძლია ხაზი არ გაუსვა მომღერლის მაღალ მოთხოვნადობას ვერდის და პუჩინის რეპერტუარის დრამატულ როლებში, მისი მთავარი ხიბლი უაღრესად „საამოდ მოსასმენი ხმის გარდა გახლავთ ინდივიდუალიზმი და საოცარი არტისტიზმი, იგი სცენისთვის არის დაბადებული, მის რეპერტუარში ორმოცამდე საოპერო პარტიაა და ყველა ერთმანეთისგან განსხვავებულია სპექტაკლის დასასრულს ბისზე შეასრულა ნიაპოლიტანური სიმღერა სიმფონიური მუსიკის თანხლებით. დირიჟორი გახლდათ ზაზა აზმაიფარაშვილი, რომელიც გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით. ვერდის უვერტურის და მასკანის ინტერმეცოს საოცარი ჰანგები ეფინებოდა დარბაზს, თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონებოდათ, ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია, არაერთი მსოფლიო დონის დირიჟორი მოხიბლულა თბილისის სიმფონიური ორკესტრის წევრების მიერ აჟღერებული მუსიკით.

ორიოდე სიტყვით შევახსენებ ჩვენს მკითხველს, რომ 2005 წელს გამოიცა ლადო ათანელის პირველი სოლო ალბომი „საოპერო არიების“ სახელწოდებით, 2009 წელს გამოვიდა მეორე ალბომი „ბარიტონის არიები“, გამოცემულია ვერდის „ოტელო“, მასნეს- „ტაისი“ და ჩაიკოვსკის პიკის ქალი“. ასევე ლადო ათანელმა დაარსა საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“, რომლის მიზანია დაეხმაროს ახალგაზრდა, ნიჭიერ ვოკალისტებს და გზა გაუკაფოს მათ საერთაშორისო სარბიელზე. 2010 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ლადო ათანელის სახელობის ვოკალისტთა კონკურსი, რომლის ერთ-ერთი ლაურეატი გახლავთ ოპერის ახალგაზრდა მომღერალი გიორგი წამალაშვილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო „წარმატებული ოჯახების“ ნომინაციაში გამართულ გალა-კონცერტზე დედოფლისწყაროში და მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

უამრავ ჯილდოსთან ერთად ლადოს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და დაჯილდოვდა ოქროს მედლით, საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ აღიარებულია „სიკეთის რაინდად“. ამ აღიარებებს კი ლადო ათანელის ვარსკვლავიც მიემატა, რომელიც ოპერის წინ გახსნა კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და ხელოვნების პალატის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა, საზეიმო ცერემონიალი ფეიერვერკით დასრულდა.

ვარსკვლავის გახსნის შემდეგ კომენტარი ვთხოვე ცნობილ ადამიანებს:

მედეა ამირანაშვილი – „ლადო არის უდიდესი მომღერალი, არტისტი, მე ბედნიერი ვარ, რომ მასთან ერთად ვმუშაობ, იცოცხლეთ! იბედნიერეთ!“

მარინა მაჭავარიანი–ანჯაფარიძე – „ღირსეული მომღერლების ვარსკვლავს მიემატა კიდევ ერთი ღირსეული მსოფლიო ბარიტონი ლადო ათანელი ვარსკვლავის სახით.“

თემურ გუგუშვილი: – „ძალიან კარგი მომღერალი და ძალიან კარგი ადამიანია“.

ელდარ გეწაძე: – „ლადო ჩემი ოჯახის წევრია, ჩემი უმცრო ძმა და მეგობარია, ვულოცავ!“

თემურ ჩალაბაშვილი: – „ლადო ათანელის ვარსკვლავმა მისი მასწავლებლის ნოდარ ანდღულაძის ვარსკვლავის გვერდით დაივანა, როგორც მსოფლიოს შემორჩა არისტოტელეს და ალექსანდრე მაკედონელის სახელები, ასევე შემორჩება მსოფლიოს მათი სახელები. მე მეამაყება, რომ იგი ჩვენი მინა-წყლის ქიზიყის შვილია, ვულოცავ ამ უმნიშვნელოვანეს დღეს!

მიხეილ გიორგაძე ***(კულტურის მინისტრი):*** – მინდა მივულოცო ყველას ეს მნიშვნელოვანი დღე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლადო მსოფლიო მომღერალია და მას ჩვენი სახელმწიფოს ცნობადობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის“.

ნანა ჭიჭინაძე

* * *

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სახელით, ამ ღირსეულ წარმატებას ულოცავს თავის სახელოვან შვილს, მსოფლიო ბარიტონს, ქველმოქმედსა და მეცენატს ლადო ათანელიშვილს და კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს ელის მისგან. ის ხომ დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ დასახელდა და ფეხი სწორედ დედოფლისწყაროს მუსიკალურ სკოლაში აიდგა!

ულოცავენ!

ნათელა თამაზაშვილს!

ძვირფასო ნათელა, გილოცავთ შვილიშვილის -პატარა დამიანის დაბადებას. მის მშობლებს **ქეთი ქადაგიშვილს** და **ჯანრი თოფურიას** ვუსურვებთ, ბედნიერები ყოფილიყვნენ, ოჯახის საამაყო და ქვეყნისათვის სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს მათი შვილი. თქვენ კი გაიხარეთ თქვენს დიდ ოჯახთან ერთად. უფლის წყალობა არ მოგაკლდეთ.

პატივისცემით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციის საექიმო კაბინეტის თანამშრომლები.

გილოცავთ მესამე შვილიშვილის, პატარა **დამიან თოფურიას** დაბადებას, გისურვებთ, სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს, და ბედნიერ სამშობლოში ეცხოვროს!

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები

ყურადღება!

ქ. დედოფლისწყაროში, ანტონ ნატროშვილის ქუჩაზე, ახლადგახსნილ ავტოსამრეცხაოს (ახალი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, ავტოსერვისის გვერდით) ესაჭიროება ორი თანამშრომელი. ანაზღაურება შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით: 593 27 58 97

ი ყ ი დ ე ბ ა !

დედოფლისწყაროს რაიონის, სოფელ ხორნაბუჯში იყიდება სახლი ბელეტაჟზე, 3 ოთახიანი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი აირით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის ჭა, რომელიც ზაფხულში არ შრება.

ასევე იყიდება სახნავ-სათესი ნაკვეთი შირაქში, ფართი 1 ჰექტარი.

ორივე ნაკვეთი გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდები 52.06.37.039 და 52.21.31.018.

სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასი - 20,000 ლარი.

სახნავ-სათესი ნაკვეთის (1ჰა) ფასი - 1000 ლარი

☎ 599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.

იყიდება ერთოთახიანი სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რკინის კარით, ცივი და ცხელი წყლით, კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი. ბინას აქვს ავტოფარეხი. გაყიდვის შემთხვევაში ბინაში რჩება გარკვეული ავეჯი. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: **რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 17.** ბენზინგასამართი სადგურ „სოკარის“ მოპირდაპირედ.

☎ 591 80-35-13

ქ. დედოფლისწყაროში, ხუთსართულიან კორპუსში, ჰერეთის ქუჩაზე (საჯარო რეესტრის მაღლა), მეორე სართულზე იყიდება სამოთახიანი, ოთხ ოთახიანად გადაკეთებული, თბილი, ნათელი, კუთხის ბინა გადიდებული ლოჯიით, ორი აივნით, რამდენიმე ნლის წინ ჩატარებული მაღალი დონის რემონტით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ბუხრით, გამოცვლილი კარ-ფანჯრით, ფანჯრებზე ჟალუზებით, აივნებზე გისოსებით და სამეურნეო სათავსოებით, აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკე აღჭურვილი კაფელ-მეტლახით, შესასვლელში დამონტაჟებული კარადებით, კიბის ქვეშ სამეურნეო სათავსოთი, გაზით, ცხელი წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. ფასი შეთანხმებით

☎ 591-09-24-79 591-09-24-78.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 24.07		სამშაბათი 25.07		ოთხშაბათი 26.07		ხუთშაბათი 27.07		პარასკევი 28.07		შაბათი 29.07		კვირა 30.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
27 °	26 °	26 °	25 °	28 °	26 °	28 °	26 °	29 °	27 °	30 °	28 °	29 °	27 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.